EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)

მუნიციპალური მხარდაჭერის პროგრამა ადგილობრივ დონეზე ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის

კონკურსი

ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის "EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი" (CESL) მიზანია საქართველოს ოთხი რეგიონის (გურია, იმერეთი, კახეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) მოსახლეობის შემოსავლის წყაროების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ამ რეგიონებიდან მოსახლეობის თბილისში მიგრაციის შემცირებას და გაზრდის მოტივაციას რეგიონებში საცხოვრებლად გადასვლის. აღნიშნულ პროექტს GIZ-ი ეროვნული ინიციატივის სახელად საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ახორციელებს და იგი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება.

CESL-ის მიზანს ადგილობრივ დონეზე ეკონომიკური განვითარების სტიმულირება წარმოადგენს - ეს მისი ზოგადი მანდატის ნაწილია, რომელიც შემოსავლების გენერირების სტიმულირებას ან ზრდას გულისხმობს; ამ პროცესში განსაკუთრებული აქცენტი ე.წ. "ძნელად მისაწვდომი" ჯგუფების სამეწარმეო აქტივობების წამოწყებაზე ან გაფართოებაზე კეთდება.[1] ამ მიზნით, ამჟამად CESL-ი მიკრო და მცირე მეწარმეების ფინანსურ დახმარებას უწევს ჩოხატაურში მდებარე ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მეშვეობით (9 ბენეფიციარი); ამავე დროს, GIZ-მა ორი მსგავსი ინიციატივა 2021-2023 წლებში განახორციელა, პირველი მათგანი კახეთში (დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, სიღნაღი; 10 ბენეფიციარი), ხოლო მეორე კი ონსა და სენაკში (11 ბენეფიციარი) განხორციელდა. აქამდე მიღებული შედეგები იმედისმომცემია; მაგალითად, კახეთის შემთხვევაში, იმ ბიზნეს საწარმოების რაოდენობა, რომლებიც ერთი წლის შემდეგაც მუშაობენ, უაღრესად მაღალია, ხოლო ზოგიერთი ბენეფიციარის შემოსავალი მათ ახალი თანამშრომლების აყვანის საშუალებას აძლევს.

[1] CESL-ის მიზნებისთვის, „ძნელად მისაწვდომ" ჯგუფებში იგულისხმება სოფლად მცხოვრები ქალები და ახალგაზრდები (29 წლამდე და 29 წლის ასაკის ადამიანები).

CESL-ის მანდატის მეორე ნაწილს „პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების“ (learning by doing) ხელშეწყობა წარმოადგენს - ეს განსაკუთრებით CESL-ის სამიზნე მუნიციპალიტეტებს ეხებათ; შესაბამისად, CESL-ი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (LED) პროგრამის 50%-ს აფინანსებს, რომელსაც პირდაპირ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მართავს; აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შეირჩა 21 ბენეფიციარი და მათ დახმარება აღჭურვილობის მიწოდებით ან მცირე ინფრასტრუქტურული ინტერვენციებით გაეწიათ; ყველა შემთხვევაში, ამგვარი აღჭურვილობის/ინფრასტრუქტურული ინტერვენციების შესყიდვას თავად მუნიციპალიტეტი ახდენდა (ბენეფიციარებისთვის მათი შემდგომი გადაცემით). გარდა ამისა, სხვა დონორული სახსრების მეშვეობით, მსგავსი ინიციატივები დუშეთისა და ოზურგეთის ადგილობრივი ადმინისტრაციების მიერ განხორციელდა ან ხორციელდება.

2024/2025 წლებში CESL-ი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (LED) მეორე პროგრამის განხორციელებას აპირებს, რომელსაც ერთ-ერთი მისი სამიზნე მუნიციპალიტეტი წარუძღვება. ამ მიზნით, CESL-ი **კვალიფიციური** ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისგან **საპროექტო განაცხადების მიღებას აცხადებს.**[2] აღნიშნული განაცხადები **1)** ამგვარი პროგრამის განხორციელების განმსაზღვრელი წესები, პროექტის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, რომელსაც საკრებულო რეზოლუციის სახით მოგვიანებით დაამტკიცებს ან **2)** დადგენილი წესები საკრებულოს რეზოლუციის სახით იქნება წარმოდგენილი; ინფორმაციისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მსგავსი რეზოლუციის ნახვა აქ შეიძლება. დოკუმენტაცია, ქართულ ენაზე, 2024 წლის 10 მაისისთვის უნდა იქნას გამოგზავნილი შემდეგ ელ. ფოსტაზე: euitdcesl@giz.de. რაც შეეხება დაფინანსებას და გრაფიკს:

- CESL-ის თანადაფინანსება მაქსიმუმ 100,000 ლარს შეადგენს, ხოლო მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადაფინანსების ოდენობა მინიმუმ 20%-ს უნდა უდრიდეს.[3] ყველანაირი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ამ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ყველა ფულადი თანხა ბენეფიციარების მხარდაჭერის მიზანს უნდა ემსახურებოდეს (ძირითადად აღჭურვილობის შეძენა/ინფრასტრუქტურული ინტერვენციები, მაგრამ ასევე (შესაძლოა) ბიზნეს

[2] წინამდებარე კონკურსის ფარგლებში, კვალიფიციური მუნიციპალიტეტებია: **იმერეთი** - ხონი, თერჯოლა, წყალტუბო, ვანი; **კახეთი** - გურჯაანი, ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნაღი. კვალიფიციურობის დასადგენად შემდეგი კრიტერიუმები იქნა გამოყენებული - **1)** მუნიციპალიტეტები არ წარმოადგენენ რეგიონულ დედაქალაქებს; **2)** მუნიციპალიტეტები არ წარმოადგენენ CESL-ის გრანტების ამჟამინდელ ან მომავალ მიმღებებს; **3)** მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს დონორების მიერ დაფინანსებული „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების“ მხარდამჭერი პროგრამები (მაგალითად CESL-ის მიერ ან USAID-ის მოქნილი თემების პროგრამით დაფინანსებული პროექტები).

[3] აღნიშნული 20%-ი პროგრამის მთლიანი ღირებულებიდან გამოითვლება (CESL-ის თანადაფინანსებას პლიუს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება). აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტებმა მოთხოვნილი გრანტის ¼-ის საკუთარი სახსრებიდან თანადაფინანსება უნდა უზრუნველყონ. პროგრამის სავარაუდო გრაფიკის გათვალისწინებით, თანადაფინანსების უმრავლესობა (თუ ყველა არა) 2025 წლის ფისკალური წლისთვის უნდა იყოს გათვალისწინებული.

კონსულტაციებიც); აღნიშნული სახსრები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად არ უნდა იყოს გამოყენებული.

- პროგრამის განხორციელება უნდა დაიწყოს პირობითად 2024 წლის 1 ივლისიდან და დასრულდეს 2025 წლის 30 ივნისისთვის.

პროექტებთან დაკავშირებით საკრებულოს გადაწყვეტილებების მიღების შემდგომ, მოხდება მათი იმ კრიტერიუმების/ქულების მინიჭების სისტემის მიხედვით შეფასება, რომელიც წინამდებარე დოკუმენტის დანართშია მოცემული. იმ შემთხვევაში თუ განაცხადი „გამსვლელ“ ქულას მიიღებს, აპლიკანტების შესაბამის წარმომადგენლებთან გასაუბრებები ჩატარდება (დიდი ალბათობით ონლაინ ფორმატში). გასაუბრებების დროს გამნცხადებელს პროგრამის ზეპირად წარდგენას და ყველა იმ დამატებით კითხვაზე პასუხების გაცემას სთხოვენ, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს CESL-ის გუნდს. გასაუბრების შემდგომ განაცხადები საბოლოო ქულებით შეფასდება და CESL-ი ყველაზე მაღალი ქულების მიმღებ მუნიციპალიტეტებთან დაიწყებს მოლაპარაკებებს. შედეგების შესახებ ყველა აპლიკანტი იქნება ინფორმირებული. მოლაპარაკებები ინგლისურ ენაზე შესრულებული აღწერილობითი განაცხადის და ბიუჯეტის წარმოდგენით დასრულდება;[4] ეს დოკუმენტები მუნიციპალიტეტსა და GIZ-ს შორის ევროში დადებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენს. ამგვარი საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა 2024 წლის ივნისში ან ივლისშია მოსალოდნელი.

კითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდეთ CESL-ის პროგრამის კოორდინატორს (gvantsa.khintibidze@giz.de).

[4] CESL-ის გუნდი შერჩეულ მუნიციპალიტეტს აღწერილობითი განაცხადის და ბიუჯეტის შედგენაში დაეხმარება.

დანართი - შეფასების კრიტერიუმები და ქულების მინიჭების სისტემა

ქვემოთ ცხრილში მოცემულია განაცხადების შეფასების კრიტერიუმები და ასევე ქულების მინიჭების სისტემა. თითოეულ განაცხადს 0-დან 10-მდე ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ენიჭება,[5] 6 შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად საჭირო „მინიმალურ“ ქულად ითვლება. ამის შემდეგ ხდება თითოეული ქულის გამრავლება შესაბამისი კრიტერიუმის წონის მიხედვით, რის შედეგადაც მაქსიმალური ქულის გამოთვლა მოხდება (თუმცა ეს მაქსიმალური ქულა 1,000-ზე მეტი ვერ იქნება).

კრიტერიუმი	ქულების დიაპაზონი	გამსვლელი ქულა	წონა	წონაზე გამრავლების შემდეგ მიღებული ქულა
განაცხადის შესაბამისობა ამოცანებთან და მოთხოვნებთან	0-დან 10-მდე	6	30	180
განხორციელებადობა	0-დან 10-მდე	6	35	210
განმხორციელებელი მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები	0-დან 10-მდე	6	35	210
სულ				**600**

კიდევ უფრო მეტი სიცხადის შესატანად, ქვედა ცხრილში მოცემულია თითოეული კრიტერიუმი მასთან დაკავშირებულ ძირითად კითხვებთან ერთად.

კრიტერიუმი	ძირითადი კითხვები
რამდენად შეესაბამება განაცხადი CESL-ს მიერ დადგენილ ამოცანებს და მოთხოვნებს	• ითვალისწინებს თუ არა განაცხადის ფინანსური პაკეტი კონკურსში მოცემულ კრიტერიუმებს - ანუ მუნიციპალიტეტის მხრიდან 20%-იან თანადაფინანსებას და CESL-ის მხრიდან მაქსიმუმ 100,000 ლარიან კონტრიბუციას? • ითვალისწინებს თუ არა განაცხადის გრაფიკი კონკურსის პირობებში მოცემულ კრიტერიუმებს - ანუ იმას, რომ პროექტის განხორციელება არ უნდა დაიწყოს 2024 წლის 1 ივლისამდე და უნდა დასრულდეს 2025 წლის 30 ივნისამდე? • არის თუ არა განაცხადი მიმართული „ძნელად მისაწვდომ“ ჯგუფებზე - ანუ სოფლად მცხოვრე ქალებზე და/ან ახალგაზრდებზე?

[5] 0-დან 1.9-მდე – ძალიან ცუდი, 2-დან 3.9-მდე – ცუდი, 4-დან 5.9-მდე – არადამაკმაყოფილებელი; 6 – დამაკმაყოფილებელი; 6.1-დან 7.9-მდე – კარგი, 8-დან 10-მდე – შესანიშნავი

კრიტერიუმი	ძირითადი კითხვები
	• ითვალისწინებს თუ არა პროგრამის განხორციელება მუნიციპალიტეტისთვის (მაგალითად პროექტის ადმინისტრირების სხვა ორგანიზაციისთვის დელეგირების გამორიცხვა) ან სხვა მუნიციპალიტეტებისთვის (მაგალითად მუნიციპალიტეტი პროექტის შედეგად მიღებული გაკვეთილების გავრცელებას გეგმავს) „პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების“ პრინციპს?
განხორციელებადობა	• არის თუ არა ბენეფიციართა შერჩევის ნაბიჯები მკაფიოდ განსაზღვრული (მაგალითად ვინ არის და ვინ არ არის კვალიფიციური, რა ტიპის ბიზნეს იდეების დაფინანსება მოხდება)? • მკაფიოდ არის თუ არა განსაზღვრული ის, რომ მუნიციპალიტეტი იქნება პასუხისმგებელი სერვისების, მასალების და სამუშაოების ბენეფიციართა სახელით შესყიდვაზე (და მართვაზე) და შემდეგ მათი ბენეფიციარებისთვის გადაცემაზე? • გათვალისწინებულია თუ არა შერჩეული ბენეფიციარებისთვის დახმარების გაწევა მათი განაცხადების მომზადებისას და/ან მათი პროექტების განხორციელებისას (მაგალითად მუნიციპალიტეტის მიერ ტექნიკური დახმარების შესახებ მესამე მხარესთან დადებული ხელშეკრულების მეშვეობით)? • დაკონკრეტებულია თუ არა გრანტის მაქსიმალური/მინიმალური ოდენობები და/ან დადგენილია თუ არა ბენეფიციართა საერთო რაოდენობა? • ითვალისწინებს თუ არა პროგრამა მუნიციპალიტეტში არსებული სხვა რელევანტური ორგანიზაციების ჩართულობას (მაგალითად „ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის“ ჩართვას - ასეთის არსებობის შემთხვევაში)? • გათვალისწინებულია თუ არა საკმარისი ფინანსური სახსრები 2024 და 2025 საბიუჯეტო წლებისთვის? • პროგრამის აღწერილობიდან გამომდინარე, არის თუ არა საკმარისი დრო გამოყოფილი მისი შესაბამისად განხორციელებისთვის?
განმხორციელებელი მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები	• არის თუ არა პროგრამასთან დაკავშირებული ყველა დავალება აღწერილი საკრებულოს გადაწყვეტილებაში (მაგალითად ბენეფიციართა მიერ აღჭურვილობის/მასალების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელება, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოსთვის წარსადგენი ანგარიშები)? • გააჩნია თუ არა მუნიციპალიტეტს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელთა საკმარისი რაოდენობა?

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის მთავრობის შეხედულებებს.